თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2016386

ნომერი: AR1321432

თარიღი : 25.06.2015

გაცემის თარიღი : 17.07.2015

გაცნობის თარიღი : 18.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი N7) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე მაზანაშვილი პ/ნ 01003002315
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 8 ბ. 42

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2015წ. №1951925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25/06/2015წ. AR1321432 განაცხადით მომართა მარინე მაზანაშვილმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 12.06.2015წ. №1951925 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12.06.2015წ. №1951925 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №7), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.14.12.003.019), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 12.06.2015წ. №1951925 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 4232.65, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2545.9, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 481, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 308.8.

განსახილველი განაცხადით, განმცხადებლის მიერ, ასევე წარმოდგენილი იქნა -8.30, -3.80, ±0.00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20, +16.50, +19.80, +23.10 ნიშნულის გეგმები, შესწორებული მაჩვენებლების მითითებით.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოდის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2015წ. №1951925 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 4232.65, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2545.9, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 481, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 308.8.

2. სამსახურის 12.06.2015წ. №1951925 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს დაერთოს, განმცხადებლის მიერ, წინამდებარე 25/06/2015წ. AR1321432 განაცხადით წარმოდგენილი -8.30, -3.80, ±0.00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20,

+16.50, +19.80, +23.10 ნიშნულის გეგმები.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2015წ. №1951925 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.